



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2012 წლის 6 ივლისი
 № 733 დადგენილებით
 მოდიფიცირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2021 წლის 24 დეკემბრის
 № 01-05-04/204 დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

საჯარო მმართველობა

Public Administration

ფაკულტეტი

ბიზნესტექნოლოგიები

Faculty of Business Technology

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი გენადი იაშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საჯარო მმართველობის მაგისტრი
 (Master of Public administration)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული ორი გამოცდა - "საჯარო მმართველობა" და „ინგლისური ენა - დონე B2“. ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მსურველები თავისუფლდებიან აღნიშნული გამოცდიდან). შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://gtu.ge/Study-Dep/> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით და მოიცავს 120 კრედიტს. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტი - 90 კრედიტი, კვლევითი - 30. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. სემესტრის მანძილზე სტუდენტი აბარებს ერთ შუასემესტრულ და ერთ დასკვნით გამოცდას. საჭიროების შემთხვევაში XX კვირა ეთმობა დამატებით გამოცდას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. XVII კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისთვის მზადებას, XVIII–XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დროს.

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო სემესტრის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ გვერდზე <http://gtu.ge/Orders>, სადაც სტუდენტებისათვის დეტალური ინფორმაციაა სემესტრის მიმდინარეობის, მინიმალური ზღვრისა და ვადების შესახებ. მაგისტრატურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დოკუმენტში „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე: https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php

პროგრამის სტრუქტურა:

პროგრამა მოიცავს: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებს 80 (ECTS) კრედიტი, არჩევით სასწავლო კურსებს - 10 (ECTS) კრედიტი და კვლევით კომპონენტს - 30 (ECTS).

კვლევითი კომპონენტი:

იგი გულისხმობს კვლევით სამუშაოებს, რომელიც მიმართულია მაგისტრატურის სტუდენტის უნარის განვითარებაზე დამოუკიდებელ თეორიულ და პრაქტიკულ მსჯელობასა და დასკვნების გაკეთებაში.

სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და **შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, შეფასება ხდება 100 ქულით.** შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილებით დამტკიცებული „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესით“.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე წარდგენამდე, მაგისტრანტმა, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად, დეკანთან უნდა წარადგინოს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, აგრეთვე განცხადება **სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შემოწმების** თხოვნით.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

სტუ-ში შესრულებული ნაშრომის პლაგიატი რეგულირდება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესით“.

პროგრამის მიზანი

- ✓ მოამზადოს საჯარო მმართველობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, მოთხოვნადი, კრეატიული იდეების განვითარებაზე ორიენტირებული, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების პროფესიონალური უნარების მქონე სპეციალისტი;
- ✓ ჩამოუყალიბოს კურსდამთავრებულებს სახელმწიფო მართვისა და საჯარო მმართველობის ორგანიზაციებში ინოვაციური საქმიანობისა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი, აგრეთვე გამოუმუშავოს ორგანიზაციის საქმიანობის კრიტიკული გააზრების, დაგეგმვისა და ახალი, ორიგინალური გზებით განვითარების ხედვა.
- ✓ შეუქმნას კურსდამთავრებულებს შემდგომ საფეხურზე სწავლის/კვლევის გაგრძელებისა და პროფესიონალური განვითარების დამოუკიდებლად წარმართვის მყარი საფუძველი სახელმწიფო მართვისა და საჯარო მმართველობის დარგის ნოვატორულად გააზრებისა და უახლესი მიღწევების გამოყენებით.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

განიხილავს ორგანიზაციის მართვისა და ადმინისტრირების კლასიკურ და თანამედროვე თეორიებს, მიდგომებს, სისტემებს, მოდელების და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებს;

კრიტიკულად აანალიზებს ინოვაციებსა და ორიგინალურ იდეებს მართვისა და ადმინისტრირების სფეროში მათი დანერგვის მიზნით;

ახდენს ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და შესაბამისი პროექტების შემუშავებას და/ან გადაწყვეტილების მიღებას;

შეუძლია ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმარება, ორგანიზაციული მართვა და ადმინისტრირება, მომსახურების მენეჯმენტი;

დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს წარადგენს როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიულ საზოგადოებასთან;

ადგენს ორგანიზაციის მართვისა და ადმინისტრირების პროცესში, სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა განხორციელების თანმიმდევრობას;

მონაწილეობს ინოვაციურ იდეების შემუშავებაში ორგანიზაციის მიზანთან თავსებადობის პრინციპის დაცვით;

შეიმუშავებს სათანადო ღონისძიებებს ელექტრონული მართველობის გაუმჯობესების და ღია მართველობის პრინციპების რეალიზაციის მიზნით;

მონაწილეობს პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირებულებების პატივისცემის გარემოს შექმნასა და დამკვიდრების პროცესში, პროფესიული ღირებულებების, ეთიკური პრინციპებისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვით.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა

საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები;
თანამშრომლობითი (cooperative);
ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) ;
შემთხვევების შესწავლა (Case study);
გონებრივი იერიში (Brain storming);
როლური და სიტუაციური თამაშები;
დემონსტრირება;
ინდუქცია;
დედუქცია;
ანალიზი;
სინთეზი;
ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი;
წერითი მუშაობა;
ახსნა-განმარტება;
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება

https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

დასაქმების სფერო

- სახელისუფლო სტრუქტურებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და დაწესებულებებში;
- საკუთრების ნებისმიერი ფორმის ორგანიზაციაში მმართველობით თანამდებობებზე;
- საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. საჯარო მმართველობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ტექნიკური მოწყობილობით უზრუნველყოფილი აუდიტორიები, საჯარო მმართველობის პრობლემათა კვლევების ინსტიტუტი და ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ლაბორატორია. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების პროგრამებით (სილაბუსებით) გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. დამატებითი ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ მოცემულია თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 19

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			I	II	III	IV
1	საჯარო მმართველობა თეორიასა და პრაქტიკაში	არ აქვს	6			
2	კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი	არ აქვს	10			
3	დროის მენეჯმენტი	არ აქვს	5			
4	საზოგადოებრივი ურთიერთობები	არ აქვს	5			
5	ბიზნესის სტრატეგიული მართვა	არ აქვს	4			
6	მოლაპარაკებების ხელოვნება	არ აქვს		4		
7	მომსახურების მენეჯმენტი	არ აქვს		5		
8	სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი	კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი		6		
9	ინოვაციური მენეჯმენტი	არ აქვს		5		
10	საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემები	არ აქვს		5		
11	ინფორმაციული უსაფრთხოების გეოპოლიტიკა	არ აქვს			5	
12	ელექტრონული და ღია მმართველობა	საჯარო მმართველობა თეორიასა და პრაქტიკაში			5	
13	რისკების მართვა და ანტიკრიზისული მენეჯმენტი	ინოვაციური მენეჯმენტი			5	
14	საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგიები	საზოგადოებრივი ურთიერთობები			5	
15	საჯარო ფინანსები	არ აქვს			5	
არჩევითი საგნები						
16.1	საარჩევნო სისტემა და კანონმდებლობა	არ აქვს		5		

16.2	სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის მიღწევის თანამედროვე მეთოდები	არ აქვს				
16.3	სამოქალაქო საზოგადოება და თანამედროვე დემოკრატია	არ აქვს				
16.4	ელექტრონული ბიზნესის მენეჯმენტი	არ აქვს			5	
სემესტრში:			30	30	30	-
წელიწადში:			90			-
კვლევითი კომპონენტი						
სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა		სავალდებულო სასწავლო კურსები	-	-	-	30
სულ:			120			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსი	ESTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუამდგომლობის გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	BUA89613G1-LS	საჯარო მმართველობა თეორიასა და პრაქტიკაში	6/150	15	30						1	1	103
2	BUA89413G1-LSK	კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი	10/250	30	15				15		2	2	186
3	BUA32713G1-LSP	დროის მენეჯმენტი	5/125	15	22	8					1	1	78
4	BUA84513G1-LS	საზოგადოებრივი ურთიერთობები	5/125	15	30						1	1	78
5	BUA84813G1-LS	ბიზნესის სტრატეგიული მართვა	4/100	15	15	15					1	1	68
6	BUA84413G1-LS	მოლაპარაკებების ხელოვნება	4/100	15	15						1	1	68
7	BUA85713G1-LS	მომსახურების მენეჯმენტი	5/125	15	15	15					1	1	78
8	BUA85413G1-LS	სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი	6/150	15	30						1	1	103
9	BUA33213G1-LSP	ინოვაციური მენეჯმენტი	5/125	30	12	3					1	1	78
10	BUA85113G1-LS	საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემები	5/125	15	30						1	1	78
11	BUA89513G1-LSP	ინფორმაციული უსაფრთხოების გეოპოლიტიკა	5/125	15	15	15					1	1	78
12	BUA89813G1-LS	ელექტრონული და ღია მმართველობა	5/125	15	30						1	1	78
13	BUA89713G1-LS	რისკების მართვა და ანტიკრიზისული	5/125	15	30						2	2	76

		მენეჯმენტი										
14	BUA85013G1-LP	საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგიები	5/125	15		30				1	1	78
15	BUA89913G1-LS	საჯარო ფინანსები	5/125	15	30					2	2	76
16.1	BUA85613G1-LP	საარჩევნო სისტემა და კანონმდებლობა	5/125	15		30				2	2	76
16.2	BUA85213G1-LS	სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის მიღწევის თანამედროვე მეთოდები	5/125	15	30					2	2	76
16.3	BUA85213G1-LS	სამოქალაქო საზოგადოება და თანამედროვე დემოკრატია ოთარი	5/125	15	30					2	2	76
16.4	BUA80113G2-LS	ელექტრონული ბიზნესის მენეჯმენტი	5/125	15	30					1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

გენადი იაშვილი

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო ჩიკვილაძე

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 10.05.2011წ. ოქმი №22 ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

მოდიფიცირებულია

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 22.12.2021წ. ოქმი №14

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე